



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### კოპალეიშვილი თეიმურაზ ისაკის ძე



თ. კოპალეიშვილი

კოპალეიშვილი თეიმურაზ ისაკის ძე (30. I. 1930, სამტრედია, -19.II.2019, თბილისი), ფიზიკოსი-თეორეტიკოსი. საქართვე. მეცნ. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (1993, წ.-კორ. 1979), ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1968), პროფესორი (1976). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1977). დაამთავრა თსუ-ის ფიზ. ფაკ-ტი (1953). 1958-61 მუშაობდა საქართვე. მეცნ. აკად. ფიზ. ინ-ტში (2006-იდან - თსუ-ის ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტი), 1961-იდან - თსუ-ში, 1964-იდან - იქვე ბირთვული ფიზ. პრობლემური ლაბორ. (1979-იდან - თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი,) განყ-ბის გამგედ. 1974-87 იყო (შეთავსებით) თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზ. კათედრის გამგე, 1987-იდან - ელემენტარული ნაწილაკების

ფიზ. კათედრის პროფესორი.

კ-ს დიდი წვლილი მიუძღვის ქართვ. ფიზიკოსების აღზრდაში, დუბნის ბირთვული კვლევების საერთაშ. ინ-ტთან (JINR) თსუ-ის თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ეწეოდა აქტიურ პედ. მოღვაწეობას თსუ- ში, იყო ამავე უნ-ტში მაღალი ენერგიების ფიზ. ინ-ტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი.

კ-ის შრომები ეხება შუალედური ენერგიების კვანტებისა და მეზონების ურთიერთქმედებას ატომბირთვებთან, ჰადრონთა კვარკულ სტრუქტურას და სხვ. ბირთვის გარსული მოდელის ჩარჩოებში მან იწინასწარმეტყველა მეზონების შთანთქმის წყვილური ნუკლონური

მექანიზმი, რაც შემდგომ დადასტურდა ექსპერიმენტულად; რელატივისტური კვამპოტენციალური მიდგომის საფუძველზე აღწერა პიონ-დეიტრონული გაბნევის პროცესი, ასევე კვარკების ბმული მდგომარეობები ბარიონებსა და მეზონებში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. 2 მონოგრაფია და 3 სახელმძღვანელო. მიღებული აქვს პ. მელიქიშვილისა (1973) და ნ. მუსხელიშვილის სახ. (1988) პრემიები, ასევე სახელმწ. ჯილდოები.

*თბზ.*: დაჯახებათა თეორიის საფუძვლები, თბ., 1975; გამოც. მე-2, თბ., 1999; Структура легких ядер и процессы поглощения  $\pi^{\pm}$ -мезонов и  $\gamma$ -квантов, Тб., 1967; Вопросы теории взаимодействия пи-мезонов с ядрами, М., 1984.

***ი. ლომიძე***

---